963/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 4 (201) 11 თებერვალი 1963 წელი

შინაარსი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

56. შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და სირიის არაბთა რესპუბლიკას შორის.

57. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. გრიშმანოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

58. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ვ. პოსოხინის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

59. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მშენებლობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. გ. ა. კარავაევის გათავისუფლების შესახებ.

60. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კავშირის საბჭოს არჩევნების იმ საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიების დამტკიცების წესის შესახებ, რომელთა შემადგენლობაშიც შედის მშრომელთა დეპუტატების სხვადასხვა საოლქო საბჭოების გამგებლობაში მყოფი ტერიტორია.

61. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბაჟო საკითხებში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების თაობაზე დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

განყოფილება მეორე

62. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საავიაციო ტექნიკის მფრინავ-გამომცდელთათვის „სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავი-გამომცდელის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

63. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით მწერალ ნ. ს. რიბაკის დაჯილდოების შესახებ.

64. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, პროფესორ ი. ჰ. ეიხფელდისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

65. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი ვარსკვლავის ორდენით იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტ ვ. ვ. ბორისოგლებსკის დაჯილდოების შესახებ.

66. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ მთავარი რედაქტორის ამხ. პ. თ. ალექსეევის დაჯილდოების შესახებ.

67. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით პოეტ ი. ვ. სმელიაკოვის დაჯილდოების შესახებ.

68. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

69. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით გენერალ-პოლკოვნიკ ა. პ. ბელობოროდოვის დაჯილდოების შესახებ.

70. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მსახიობების ს. კ. ბლინიკოვის, ა. პ. კტოროვის, პ. ვ. მასალსკის, ბ. ი. პეტკერისა და ბ. ა. სმირნოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

71. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „მამაცობისათვის“ საბჭოთა არმიის რიგითის გ. მ. მირონოვის დაჯილდოების შესახებ.

განკოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ლაოსის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კამპან ჰანიამ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ავსტრალიის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ს. ჯემისონმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ფინეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ი. ი. ვანამომ.

ცელილებანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

56 შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და სირიის არაბთა რესპუბლიკას შორის

სსრ კავშირის მთავრობამ და სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობამ, გამომდინარეებმა იმ მისწრაფებიდან, რომ ყოველმხრივ განამტკიცონ მეგობრობა საბჭოთა და სირიის არაბ ხალხებს შორის, განავითარონ კულტურული კავშირურთიერთობა და ნაცვალგების საფუძველზე გააფართოვონ თანამშრომლობა კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში ორივე ქვეყანას შორის, გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება და ამ მიზნით თავ-თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს:

სსრ კავშირის მთავრობამ — **ს. კ. რომანოვსკი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე,

სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობამ — **რ. ბარმადა,** განათლების მინისტრი,

რომლებიც, თავ-თავიანთი რწმუნებების გაცვლის შემდეგ, რწმუნებებისა, რაც ჯეროვნად გაფორმებული და სათანადო წესრიგში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

შეთანხმების დამდები მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ ორ ქვეყანას შორის კულტურულ თანამშრომლობას ეროვნული სუვერენიტეტის, ურთიერთპატივისცემის, თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე ორივე ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის დაურღვევლად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთებით.

მუხლი 2

შეთანხმების დამდები მხარეები ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას და მიღწევებს ჯგუფების და ცალკეული პირების ერთმანეთთან გაგზავნის, პროფესორების და სპეციალისტების ვიზიტად წვევის გზით და განავითარებენ კავშირს თავიანთი ქვეყნის უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებს, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 3

შეთანხმების დამდები თითოეული მხარე მეორე მხარის თხოვნით სტუდენტებსა და ასპირანტებს მისცემს მოსწავლის სტიპენდიებს და ადგილებს უნივერსიტეტებში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში იმ მიზნით, რომ იმასწავლებლონ და ჩაატარონ სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოები, აგრეთვე აითვისონ სასწავლო, სამეცნიერო და ლაბორატორიული მოწყობილობა.

მუხლი 4

შეთანხმების დამდები მხარეები ეცდებიან ისე მოაწყონ სასწავლებლებში ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება, რომ ახალგაზრდობამ მიიღოს საჭირო ცნობები მეორე ქვეყნის შესახებ.

მუხლი 5

შეთანხმების დამდები მხარეები, თითოეული თავიანთ შესაძლებლობათა ფარგლებში, თავიანთ შესაბამის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-ცენტრებში შექმნიან მეორე ქვეყნის ენის, მისი კულტურისა და ლიტერატურის შემსწავლელ კათედრებს.

მუხლი 6

შეთანხმების დამდები მხარეები ხელს შეუწყობენ და გააადვილებენ წიგნების, პერიოდული ლიტერატურის, მხატვრული, დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების, ტექნიკური, ლაბორატორიული და სპორტული მოწყობილობის და სხვადასხვა თვალსაჩინო ხელსაწყოების გაცვლას.

მუხლი 7

შეთანხმების დამდები მხარეები შეისწავლიან მეორე მხარის ინსტიტუტების და უნივერსიტეტების მიერ გაცემულ განათლების ოფიციალურ მოწმობათა გათანაბრებისათვის საჭირო პირობებს იმ მიზნით, რომ შემუშავებულ იქნას სპეციალური შეთანხმება ამ საკითხზე.

მუხლი 8

შეთანხმების დამდები მხარეები წაახალისებენ:

ა) თანამშრომლობას თავ-თავიანთი ქვეყნების კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის, მათ შორის ბიბლიოთეკებს, სამეცნიერო, ისტორიულ და მხატვრულ მუზეუმებს შორის და ა. შ.;

ბ) მხატვრული გამოფენების, მუსიკალური, თეატრალური და სხვა მხატვრული კოლექტივების, კინოფესტივალების, მსახიობებისა და ხელოვნების სხვა მოღვაწეთა გაცვლას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ლიტერატურის, მეცნიერების და ტექნიკის დარგში მეორე მხარის მიერ გამოცემული ყველაზე დასაფასებელი წიგნების თარგმნას და გამოცემას, აგრეთვე მნიშვნელოვანი ლიტერატურული და სამეცნიერო თხზულებების, კატალოგებისა და ხელნაწერთა და ისტორიულ დოკუმენტთა ფოტოპირების გაცვლას.

მუხლი 9

შეთანხმების დამდები თითოეული მხარე მეორე მხარის თხოვნით ერთმანეთს დაუთმობს რადიო და ტელეპროგრამას იმ მიზნით, რომ გააფართოვოს თავის მოქალაქეთა ცოდნა მეორე მხარის ცხოვრების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ.

მუხლი 10

შეთანხმების დამდები მხარეები წაახალისებენ შეჯიბრებებს ორივე ქვეყნის გუნდებს შორის და სპორტული მწვრთნელების გაცვლას.

მუხლი 11

მხარეები შეთანხმდნენ ხელი შეუწყონ კავშირურთიერთობის განვითარებას არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, თუკი ასეთი კონტაქტების დამკვიდრებას ორივე მხარე მიიჩნევს როგორც სასარგებლოს კულტურული და მეცნიერული კავშირის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

მუხლი 12

ამ შეთანხმების განსახორციელებლად ორივე მხარე დანიშნავს წარმომადგენლებს, რომლებიც, თავ-თავიანთ მთავრობათა რწმუნებით, მომდევნო წლებისათვის შეიმუშავებენ კულტურული თანამშრომლობის გეგმებს და მათი განხორციელების წესს.

მუხლი 13

ეს შეთანხმება, რომელიც შეცვლის ორივე მხარის მიერ 1956 წლის 20 აგვისტოს ხელმოწერილ შეთანხმებას კულტურული თანამშრომლობის შესახებ, ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის ღღიდან, რაც მოხდება მოსკოვში.

ეს ხელშეკრულება დადებულია სამი წლის ვადით. იგი ავტომატურად განახლდება იმავე ვადით, თუ შეთანხმების დამდები ერთ-ერთი მხარე ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე წერილობით არ განაცხადებს თავის სურვილს დენონსაციის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადებულია დამასკოში 1962 წლის 19 აგვისტოს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და არაბულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის რწმუნებით
ს. ა. რომანოვსკი.

სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით
რ. გარმადა.

* * *

ოატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 28 დეკემბერს, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1962 წლის 11 სექტემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1963 წლის 9 იანვარს.

57 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. გრიშმანოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ივანე ალექსანდრეს ძე **გრიშმანოვი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 იანვარი.
№ 950-VI.

58 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ვ. პოსოხინის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ვასილის ძე **პოსოხინი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 იანვარი.
№ 951-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

59 სსრ კავშირის მშენებანკის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. გ. ა. კარავაევის გათავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. გიორგი არკადის ძე კარავაევი კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სრულიად საკავშირო ბანკის (სსრ კავშირის მშენბანკის) გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 იანვარი.
№ 952-VI.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

60 კავშირის საბჭოს არჩევნების იმ საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიების დამტკიცების წესის შესახებ, რომელთა შემადგენლობაშიც შედის მშრომელთა დეპუტატების სხვადასხვა საოლქო საბჭოების გამგებლობაში მყოფი ტერიტორია

დაწესდეს, რომ კავშირის საბჭოს არჩევნების იმ საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიებს, რომელთა შემადგენლობაშიც შედის მშრომელთა დეპუტატების სხვადასხვა საოლქო საბჭოების გამგებლობაში მყოფი ტერიტორია, ამტკიცებს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 24 იანვარი.
№ 967-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

61 საბაჟო საკითხებში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების თაობაზე დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბაჟო საკითხებში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, ხელმოწერილი ბერლინში 1962 წლის 5 ივლისს, რატიფიცირებულ იქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 30 იანვარი.
№ 995-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

62 საავიაციო ტექნიკის მფრინავ-გამომცდელთათვის „სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავი-გამომცდელის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ახალი საავიაციო ტექნიკის გამოცდისა და გამოკვლევის დარგში მრავალი წლის მანძილზე შემოქმედებითი მუშაობისათვის მიენიჭოთ **„სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავი-გამომცდელის“** საპატიო წოდება:

1. პოლკოვნიკ სიმონ მიხეის ძე **ანტონოვს,**
2. პოლკოვნიკ სერგი გიორგის ძე **ბროვცევს,**
3. პოლკოვნიკ ალექსი ივანეს ძე **გორდეევს,**
4. პოლკოვნიკ სერგი გრიგოლის ძე **დედუხს,**
5. პოლკოვნიკ ვიქტორ ეგნატეს ძე **კუზნეცოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 24 იანვარი.
№ 966-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

63 შრომის წითელი დროშის ორდენით მწერალ ნ. ს. რიბაკის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ნათან სამუელის ძე **რიბაკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 24 იანვარი.
№ 968-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

64 ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, პროფესორ ი. ჰ. ეიხფელდისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მეცნიერების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ნაყოფიერი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების საოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, პროფესორ იოჰან ჰანსის ძე **ეიხფელდს** მიენიჭოს **სოციალისტური შრო-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 25 იანვარი.
№ 971-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

65 წითელი ვარსკვლავის ორდენით იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტ ვ. ვ. ბორისოგლებსკის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტი ვიქტორ ვალერიანის ძე ბორისოგლებსკი დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 28 იანვარი.
№ 972-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

66 შრომის წითელი დროშის ორდენით გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ მთავარი რედაქტორის ამხ. პ. თ. ალექსეევის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პრესაში მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ მთავარი რედაქტორი ამხ. პეტრე თევდორეს ძე ალექსეევი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 29 იანვარი.
№ 977-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

67 შრომის წითელი დროშის ორდენით პოეტ ი. ვ. სმელიაკოვის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პოეზიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით პოეტი იაროსლავ ვასილის ძე **სმელიაკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 29 იანვარი.

№ 981-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

68 საქართველოს სსრ მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

1. იუსტინე ალექსანდრეს ასულ **ალექსანდრიას** — კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ზუგდიდის რაიონი.

2. შახიაბად საიად ყზი **ალიევას** — დიასახლისს, ბოლნისის რაიონის სოფელი ზემო სარალი.

3. ხატიჯე ინუსის ასულ **ველიაძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელი სამოლეთი.

4. ანა მიხეილის ასულ **დოროხოვას** — ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ყვარლის რაიონი.

5. იადონ ბესარიონის ასულ **ოსავას** — კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ზუგდიდის რაიონი.

6. ვენერა აკაკის ასულ **ქარდავას** — კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრს, ფოთაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი.

7. მარო ილიას ასულ **კევლიშვილს** — ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ყვარლის რაიონი.

8. ბასტი ყარა ყზი **ნოვრუზოვას** — კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ყვარლის რაიონი.

9. მარიამ გიორგის ასულ **სამხარაძეს** — კოლმეურნეს, ქალაქ ჭიათურის სოფელი ნიგოზეთი.

10. ჟენია სერაფიონის ასულ **ციცქიშვილს** — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ქალაქი ჭიათურა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 29 იანვარი.

№ 983-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

69 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით გენერალ-პოლკოვნიკ ა. პ. ბელობოროდოვის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით გენერალ-პოლკოვნიკი ათანასე პავლანტის ძე **ბელობოროდოვი** დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 30 იანვარი.

№ 987-VI.

70 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მსახიობების ს. კ. ბლინიკოვის, ა. პ. კტორეოვის, პ. ვ. მასალსკის, ბ. ი. პეტკერისა და ბ. ა. სმირნოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება სსრ კავშირის მ. გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობებს:

სერგი კაპიტონის ძე **ბლინიკოვს,**
ანატოლი პეტრეს ძე **კტოროვს,**
პავლე ვლადიმერის ძე **მასალსკის,**
ბორის იაკობის ძე **პეტკერს,**
ბორის ალექსანდრეს ძე **სმირნოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 30 იანვარი.

№ 993-VI.

71 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „მამაცობისათვის“ საბჭოთა არმიის რიგითის გ. მ. მირონოვის დაჯილდოების შესახებ

სამხედრო ეშელონის გზად ყოფნისას ხანძრის თავიდან აცილების დროს **გამოჩენილი** მამაცობისა და გამბედაობისათვის საბჭოთა არმიის რიგითი გენადი მიხეილის ძე მირონოვი დაჯილდოვდეს მედლით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 30 იანვარი.

№ 994-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ლაოსის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კამპან პანიამ

ა. წ. 22 იანვარს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ლაოსის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კამპან პანია, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ საელჩოს პირველი მდივანი ლ. პატამავონგი და ატაშე ო. საინიასიტი, რომლებიც ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები თ. თ. მოლოჩკოვი და ა. ს. ჩისტიაკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა კამპან პანიას. საუბარს ესწრებოდნენ ნ. პ. ფირიუბინი და კ. უ. ჩერნენკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ავსტრალიის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ს. ჯემისონმა

ა. წ. 23 იანვარს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ავსტრალიის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სტიუარტ ჯემისონი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ საელჩოს პირველი მდივანი უ. მორისონი, მეორე მდივნები ჰ. ნორტი და რ. ლორი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეორე განყოფილების გამგე ვ. ს. ლავროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ლ. ფ. ტეპლოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ს. ჯემისონს. საუბარს ესწრებოდნენ ი. ა. მალიკი და კ. უ. ჩერნენკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ფინეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა ი. ი. ვანამომ

ა. წ. 25 იანვარს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ფინეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იორმა ი. ვანამო, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ საელჩოს მრჩეველი ჰ. მ. სუომელა, პირველი მდივანი ჰ. იურკიანკალიო, სავაჭრო მრჩეველი ა. ნორილო, სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ატაშე პოლკოვნიკი ე. ი. სიავიუ, სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ატაშეს თანაშემწე მაიორი რ. პიეტილია.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ა. ე. კოვალიოვი და თ. თ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ი. ი. ვანამოს. საუბარს ესწრებოდნენ ვ. ვ. კუზნეცოვი და კ. უ. ჩერნენკო.

ცვლილებანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

თურქმენეთის სსრ

მარის, ტაშაუზის და ჩარჯოუს ოლქების გაუქმება

თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 10 იანვრის ბრძანებულებით გაუქმებულია მარის, ტაშაუზისა და ჩარჯოუს ოლქები. აღნიშნული ოლქების შემადგენლობაში შემავალი რაიონები, აგრეთვე ქალაქები მარი, ტაშაუზი და ჩარჯოუ უშუალოდ დაექვემდებარება თურქმენეთის სსრ რესპუბლიკურ ორგანოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (201) 11 თებერვალი 1963 წ.

სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

(ქართულ და რუსულ ენებზე)

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 8, მთავრობის სახლი.

ფასი 10 კაპ.

ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА
ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

№ 4 (201) 11 февраля 1963 г.

Редакционная коллегия

Издатель — Президиум Верховного Совета ГССР

(На грузинском и русском языках)

Адрес редакции: г. Тбилиси, просп. Руставели 8, Дом Правительства

ЦЕНА 10 КОП.

შეკვეთა 194 ტირაჟი 2500

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1963 18 თებერვალს.

Подписано в печать 18 февраля 1963 г.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

Типография Управления Делами Совета Министров Грузинской ССР